1
ერთად დავამარცხოთ ცინიზმი
და პოლიტიკური მაფია!

„რაც მეტი ფული დაიხარჯება არჩევნებზე, მითუფრო ცუდად იცხოვრებს ხალხი!“

„უკვე გამოიკვეთა შვიდი პარტია, რომელიც საარჩევნოდ ხალხს ფულს ურიგებს!“

თეიმურაზ შაშიაშვილი:

31 ოქტომბერს ფულის არჩევნები იქნება!

ქუთაისის დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი თეიმურაზ შაშიაშვილი ქვეყანაში შექმნილ მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმაურება და მიიჩნევს — დღეს ქვეყანაში კონკურენტული გარემო რომ იყოს, ე.წ. ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსების 99 პროცენტი ბიზნესსა და პოლიტიკაში არ იქნებოდა:

— დიახ, დღეს რომ ქვეყანაში კონკურენტული გარემო იყოს, ჩვენი პარტია, რომელიც მეცნიერებთან, ტექნოკრატებთან და უმაღლესი რანგის სპეციალისტებთან ერთად თერთმეტი წელია, საქართველოს გადასარჩენად იბრძვის, ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვიდოდა! მაგრამ ეს არ მომხდარა და ჯერჯერობით არც მოხდება, რადგან ქვეყანას კლანური მმართველობა ჭამს. **შევარდნაძის, ასლან აბაშიძისა და სააკაშვილის კლანები მთლიანად შეისრუტა და დაიქვემდებარა ბიძინა ივანიშვილის კლანმა.** კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ბიძინა ივანიშვილი, როგორც ქველმოქმედი, რომ არ გყავდეს, უნდა გამოიგონო და შექმნა, მაგრამ პოლიტიკას არ უნდა გააკარო!

მაგალითად, მამუკა ხაზარაძე თავიდან ბოლომდე შევარდნაძეს რომ არ შეექმნა და მისთვის სრული კარტ-ბლანში არ მიეცა, ბიზნესმენი გახდებოდა? სხვათაშორის, ხაზარაძე ამ დღეებში გამობრძანდა და მთელ საქართველოს მიაყენა შეურაცხყოფა, როცა განაცხადა — ქვეყანამ ღირსება უნდა დაიბრუნოსო! ეს რას ნიშნავს, საქართველომ ღირსება დაკარგა? და ამას ამბობს ვინ — მამუკია ხაზარაძე?

— ბატონო თემურ, რამდენად სასაცილოც არ უნდა იყოს, მევახშე და ყაჩაღ-ბანკირმა ხაზარაძემ ამ ორიოდე კვირის წინათ ხელისუფლებასაც მოუწოდა — მევახშეობა აკრძალეთ!

— ხაზარაძე იმასაც გვიმტკიცებს — ბიზნესი 500 დოლარით დავიწყე და სუფთა ხელებით მოვდივარო! ვიცნობ ბიზნესმენებს, რომლებიც დღე და ღამეს ასწორებენ, რათა ცხოვრებაში ცოტა წინ წაიწიონ, არადა, ამ დროს კლანური მმართველობის წყალობით, უწიგნური და არაფრის მაქნისი ხალხი უზარმაზარ ფულს აბსოლუტურად არაფრისგან აკეთებს!

საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტს საშუალება არა აქვს, სიცოცხლისათვის აუცილებელი კალორიების ნახევარიც კი მიიღოს და ამ დროს ნატოს გენერალური მდივანი გაიძახის — საქართველოში დემოკრატია ყვავისო!

ამ დღეებში გერმანელი ექსპერტი გვსტუმრობდა და თბილისი დავათვალიერებინეთ. უშველებელი საარჩევნო ბანერების ხილვით გაოცებული დარჩა და გვითხრა — აფრიკაში იყო ამ ოცი წლის წინათ ზუსტად ასეთი სიტუაცია, ხოლო ევროპაში ვინმემ ამოდენა ბანერები ქუჩაში რომ გამოფინოს, არავითარ შემთხვევაში არ აირჩევენო!

— მოძრაობა „თეთრებმა“ თქვენ ქუთაისის დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად დაგასახელათ... საარჩევნოდ სარეკლამო ბანერი არ გაქვთ?

— არც მაქვს და არც ვიკადრებ, რომ ბანერი მქონდეს! ისე, რომ იცოდეთ, ერთი საარჩევნო ბანერის „შენახვაც“ კი ასტრონომიულ თანხებს უკავშირდება... ამ არჩევნებზე როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია უზარმაზარ ფულს ხარჯავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო გართულდება, რადგან, რაც მეტი ფული დაიხარჯება არჩევნებზე, მითუფრო ცუდად იცხოვრებს ხალხი!

სიტუაცია მარტივად ასე შეიძლება, შეფასდეს — **ვინც ხმას ყიდის, ის მომავალს ყიდის, ხოლო, ვინც ხმებს ყიდულობს, ის ქვეყანას ყიდის!** ერთი ძალიან ცნობილი პიროვნება გამომიტყდა — სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები აქეთ-იქით შეხვედრებზე დამატარებენ, ზოგი 30 ლარს მაძლევს, ზოგი — 50 ლარს... უკვე სიცოცხლე აღარ მინდა და აი, წაიკითხე, რა დავწერეო! მომაწოდა უბის წიგნაკი და თვალებს არ დავუჯერე, ისეთი რამ ეწერა — **„უფალო, მომეცი ძალა, რომ 31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, ადამიანად დავრჩე!“** აი, აქამდე მიიყვანეს ადამიანები...

რომელ კონკურენციაზე მელაპარაკებით, როცა ქუთაისის დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი ვარ და მოსახლეობის 60 პროცენტმა ამის შესახებ არაფერი იცის?! ხოლო მოსახლეობის 80 პროცენტმა ქუთაისში საერთოდ არ უწყის, რომ თემურ შაშიაშვილი და მოძრაობა „თეთრები“ ერთი და იგივეა.

„რუსთავი-2“-მა ქუთაისში გამოკითხვა ჩაატარა და ჩემი გვარი სიაში საერთოდ არ შეიტანა, ხოლო საზოგადოებრივ მაუწყებელზე 5 წუთი დამითმეს პარტიის პროგრამის წარსადგენად და ჩემი გვარი არც იქ გამოაცხადეს. აი, ამის შემდეგ როგორ ვთქვა, რომ ქვეყანაში კონკურენტული გარემოა? ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ საქართველოში ტელევიზიებს სამი პროკურორი აკონტროლებს — **ლაშა ნაცვლიშვილი, ნიკა გვარამია და ირაკლი ოქრუაშვილი!** აი, ესენი წყვეტენ, თუ ვინ რომელ სატელევიზიო არხზე, როდის და რამდენი ხნით უნდა გამოვიდეს!

საქართველოში ასეთ ღირსებააყრილ და სამარცხვინო მდგომარეობაში ტელეჟურნალისტიკა თვით კომუნისტების დროსაც კი არ ყოფილა!

— ქუთაისში თქვენს კონკურენტებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— თერთმეტი ძირითადი პარტიის შტაბს პირადად ვეწვიე ქუთაისში და გადავეცი წერილი, სადაც ყველას მოვუწოდე, რომ ქუთაისი — ეროვნული ქალაქი — მაინც დაგვეყენებინა დღევანდელ პოლიტიკურ სადო-მაზოხიზმზე მაღლა! **გაოგნებული დავრჩი, რადგან ვნახე პარტიათა უმდიდრესი ოფისები და ულარიბესი ამომრჩევლები! ვნახე სოროსელი აქტივისტები, რომლებსაც მიკროფონთან მისვლას ვერ მიასწრებ, რადგან ზრდილობა არა აქვთ და ვნახე საოცარი ცინიზმი...** დაახლოებით ოცდახუთი კილომეტრი გავიარე ქალაქში, გადავლახე ყველა ბარიერი, პირადად ვეახლე ყველას და **ზაზა ლომინაძისა** და „ქართული ოცნების“ გარდა კაციშვილი არ შემხმიანებია...

— პროფესიონალებით დაკომპლექტებული ეროვნული თანხმობის პარლამენტი თქვენი იდეა და დიდი ხნის ოცნებაა, რომელსაც, ალბათ, კიდევ დიდხანს არ უწერია ასრულება!

— ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ღირსეულმა თანამებრძოლმა და მეგობარმა, ბატონმა **ჯუმბერ კოპალიანმა,** რომელიც თავიდან ბოლომდე ჩვენი მხარდამჭერია, ბიძინა ივანიშვილით დაწყებული, ნაცები-

„საქმეს ისეთი პირი უჩანს, ზოგიერთი მაჟორიტარის გამარჯვება შესაძლოა, 30-40 მილიონიც კი დაჯდეს!“

კვირგვინოსნები

გიორგი გუგავა

ლეიბორისტული პარტიის წევრი

საკაშვილმა გამსვლელ სიაში ივანიშვილის გუნდის წევრები ჩაწერა — ჩოჩელი, ოქრიაშვილი, ხაბულიანი, ნიკოლაიშვილი და სხვები.

ამ ჯგუფს ივანიშვილის პარტიისთვის ოფიციალურად შეწირული აქვს ნახევარ მილიონამდე ლარი, არაოფიციალურად კი — 20-ჯერ მეტი.

„ტვ პირველი“

ირმა ინაშვილი

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი

არჩევნები მოახლოვდა და ახლა გაახსენდა „ქართულ ოცნებას“ დავითგარეჯი? **მთელი ამ წლების განმავლობაში „ქართული ოცნების“ სუს-ი, ყველა იმ ადამიანს, ვინც დავითგარეჯის თემაზე საუბრობდა, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების მტრად აცხადებდა.** ხაზგასმით ვამბობდი და დღესაც ვამბობ, რომ ალიევი არის გონიერი პრეზიდენტი. საქართველომ და აზერბაიჯანმა უნდა შეინარჩუნონ კეთილმეზობლური ურთიერთობა, მაგრამ **დავითგარეჯი გაყიდა სააკაშვილმა და ამაზე უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი გამოკითხვა.** ორი კი არა, 22 კაცი უნდა გახდეს დასაკითხი და დასაჭერი!

„პირველი არხი“

ალეკო ელისაშვილი

საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი პარტია „მოქალაქეებიდან“

პირდაპირ ვეტყვი მადლობას ბიძინა ივანიშვილს იპოდრომის დაბრუნებისთვის.

„ახალი თაობა“

ლაშა ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნების“ კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

„ოცნების“ ჰიმნად ქცეულ სიმღერაზე ნაცების რეაქცია ყველაზე თვალსაჩინოდ გამოხატავს მათ პათოლოგიურ არსს. მართლა არაფერი აკავშირებთ ამ ქვეყანასთან, სიძულვილის გარდა. **არათუ აქ არ არის მათი საქართველო, მათ საერთოდ არ გააჩნიათ საქართველო.**

„POSTV“

„საქართველოში ტელევიზიებს სამი პროკურორი აკონტროლებს — ლაშა ნაცვლიშვილი, ნიკა გვარამია და ირაკლი ოქრუაშვილი!“

თა და ნათელაშვილის პარტიით დამთავრებული, ყველას გადასცა ჩვენი წერილი, სადაც მოძრაობა „თეთრები“ მთელ პოლიტიკურ სპექტრს მოვუწოდებდით, რომ პარტიები მაქსიმუმ ოთხი წლით გვერდზე გაწეულიყვნენ და ეროვნული თანხმობის პროფესიონალთა პარლამენტი შეგვექმნა. ნაციონალების ერთ-ერთ ფრთას ვთხოვე, შეედგინათ იმ ადამიანების ჰიპოთეტური სია, ვისაც ისინი პროფესიონალთა პარლამენტში მოიაზრებდნენ. ჩემ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 15 კაცის შესახებ ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა... ცხადია, 200-კაციან სიაში დამთხვევა უფრო მეტი იქნებოდა... **ანუ შინაგანად ყველამ იცის, ვის ეკუთვნის სინამდვილეში პარლამენტარის სავარძელი, მაგრამ ჩვენს წინადადებას მხარი არ დაუჭირეს!** საბოლოოდ პარტიებმა ასეთი რამ ამოღერღეს — ეს რომ მოხდეს და დეპუტატები პროფესიონალიზმის ნიშნით რომ აირჩიონ, მერე პარტიებს ვინღა გაეკარება და ფულს ვინღა მოგვცემსო?!

დღეს ის მეცნიერები და ზეპროფესიონალი ტექნოკრატები, რომლებიც ჩვენს გუნდს წარმოადგენენ, ამბობენ, რომ ხელისუფლება იყენებს საქართველოში არსებული ინტელექტუალური რესურსის მხოლოდ 7 პროცენტს. არადა, ოთხ წელიწადში ეს მაჩვენებელი შეიძლება, ავიდეს 40 პროცენტამდე. 1 ლარი დღეს აკეთებს 20 თეთრის საქმეს, დანარჩენი 80 თეთრი ან კორუფციულია, ან — უვიცობისა და არაპროფესიონალიზმის სიმბოლო! ეს მეცნიერები ამბობენ, რომ ერთ წელიწადში 1 ლარი გააკეთებს 90 თეთრის საქმეს, ხოლო ორ წელიწადში — 1 ლარის საქმეს! ჩვენ გუნდში გვყავს უნიკალური პიროვნება, რომელმაც არაფრისგან, ჰაერისგან მიიღო ელექტროენერგია და შვიდი წელია, რაც სახლში მისი ნათურა ანათებს...

— ვინ არის ეს პიროვნება?

— ეს გახლავთ ბატონი **ამირან აფციაური,** რომლის აღმოჩენა ფიზიკის კანონებსაც კი ცვლის, მაგრამ ამ ადამიანის ნიჭსა და შემოქმედებას გასაქანი არ ეძლევა! სამაგიეროდ, ფართო გასაქანი აქვს ჰესების მშენებლობას, რაც პანდემიის დროსაც არ გაუჩერებიათ. ლეჩხუმში, ნამახვანზე, **თურქები აშენებენ 400-მეგავატიან ჰესს და რამე რომ მოხდეს, ქუთაისს ჯაჭვის ხიდთან 19 წუთში დაარტყამს 29 მეტრის სიმაღლის ტალღა, რაც კატასტროფა იქნება მთელი დასავლეთ საქართველოსთვის.** მოსახლეობის ევაკუაციას ვერ მოასწრებ, ისე დაინგრევა და წაილეკება ამხელა ქალაქი. არადა, ამაზე არავინ ფიქრობს... როცა ამის შესახებ შეკითხვები დავსვი, მიპასუხეს, რომ ამ საშიშროების ალბათობა 200 წელიწადში ერთხელ არსებობს! ან ვინმემ გათვალა, რა საფრთხეს უქადის ქვეყანას ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი?

— რას გულისხმობთ?

— მსოფლიო ბანკი მეც მთავაზობდა მსგავსი უნივერსიტეტის აშენებას 30 ათას სტუდენტზე, მაგრამ კაბალური პირობები წამომიყენეს და მითხრეს — მხოლოდ უცხოელმა პროფესორებმა უნდა წაიკითხონ ლექციები, რომლებსაც ჩვენ შევარჩევთ, ხოლო სტუდენტთა ძირითადი მასა აფრიკის ქვეყნებიდან უნდა ჩამოვიყვანოთო! ამაზე კატეგორიული უარი ვთქვი და პროექტი ჩაიშალა... **ვინმემ გათვალა, 30 ათასი უცხოელი სტუდენტი და ისიც აფრიკელი, ამ პატარა ეროვნულ ქალაქს რას უქადის?** ბიძინა ივანიშვილს შესაძლოა, ამაში ჩვენი დახმარებაც სჭირდება...

ვინმემ გათვალა, რა დაუჯდება ქუთაისს შემოვლითი გზის მშენებლობა, როცა ამოდენა ქალაქი, ფაქტობრივად, ფუნქციის გარეშე რჩება?

გაიხსენეთ, რა დაუჯდა ნიკო ნიკოლაძეს ქუთაისში რკინიგზის შეყვანა, როცა საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქს ანანოვებმა 1871 წელს რკინიგზა აატილეს და იგი თავიანთ მამულებში, სოფელ რიონში გააყვანინეს, რათა ღვინო და შამპანური რუსეთში უფრო ადვილად გაეტანათ.

— მაინც როგორი არჩევნები ჩატარდება 31 ოქტომბერს?

— 31 ოქტომბერს ფულის არჩევნები იქნება! უკვე გამოიკვეთა შვიდი პარტია, რომელიც საარჩევნოდ ხალხს ფულს ურიგებს... საქმეს ისეთი პირი უჩანს, **ზოგიერთი მაჟორიტარის გამარჯვება შესაძლოა, 30-40 მილიონიც კი დაჯდეს!** ვფიქრობთ, ღმერთმა ნიშანი მოგვცა, რადგან მოძრაობა „თეთრები“, რომელიც ამ თერთმეტი წლის წინათ ხარება დღეს შეიქმნა, 19 სექტემბერს, მთავარანგელოზობას, საარჩევნო სიის პირველი ნომერი გახდა! ანუ ჩვენი საარჩევნო ნომერია „1“

— ოპოზიცია არეულობისთვის ემზადება... ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილი რევოლუციას აანონსებს...

— ვინც ფიქრობს, რომ სულელ სააკაშვილს რამე შეუძლია, სააკაშვილზე მეტი სულელია! არეულობას საარჩევნოდ არ ველოდები, მაგრამ გაზაფხულზე სიტუაცია უმძიმესი იქნება!

ესაუბრა

დიტო ჩუბინიძე

თენგიზ ორჯონიკიძე:

მიმიფურთხებია იმ ზვიად გამსახურდიას მომხრისათვის, ვინც ამის შემდეგ ბუბა კიკაბიძის სანაცეთს მისცემს ხმას!

„გავოგნდი, როდესაც გავიგე, ბუბა კიკაბიძე სიის პირველ ნომრად ჩაწერესო!“

სააკაშვილის ნაცსიის პირველ ხუთეულში ორი მამალი პუტჩისტია: პირველ ნომრად — ბუბა კიკაბიძე, ხოლო რიგით მეექვსე — გენერალი დევი ჭანკოტაძე! მოდით, ჯერ თბილისის სისხლიანი ომის „გმირზე“ დევი ჭანკოტაძეზე ვთქვათ! აი, რას წერს მასზე ჯაბა იოსელიანი თავის სკანდალურ მემუარებში „სამი განზომილება“:

> *„გადავწყვიტეთ, ხვალიდან შევკრათ მოედანი, გადავწიოთ „საპიორნის“ ქუჩიდან რუსთაველზე. ზემოდან კი ჯავახიშვილის, გოგებაშვილის ქუჩებთან და კომკავშირის ხეივანზე პატარ-პატარა შეიარაღებული მოძრავი ჯგუფების პუნქტები შევქმნათ. ასე თანდათანობით ჩავწიოთ რკალი, სასახლეში მყოფთ არ მივცეთ მოძრაობის საშუალება, გადაიკეტოს ყველა სავარაუდო კავშირი გარე სამყაროსთან, ამავე დროს, თბილისის ყველა შესასვლელი ჩაიხერგოს. იწყება სჯა-ბაასი, საიდან დავიწყოთ დაბომბვა.* ***დევი ჭანკოტაძე გვთავაზობს, პირდაპირ იმელის წინ, რუსთაველის ქუჩაზე, ნაღმსატყორცნი დავამონტაჟოთ, პაატა კი კომკავშირის ხეივანს აძლევს უპირატესობას****. გადაწყდა: ერთი იქიდან, მეორე* ***აქედან“.***

აი, ეს არის ნაცების საამაყო **დევი ჭანკოტაძე,** რომელიც პირადად ქვემეხიდან ესროდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობის სასახლეს.

ახლა, რაც შეეხება პირველ ნაცსიელ ბუბა კიკაბიძეს. მასზე ეროვნული მოძრაობის ვეტერანი თენგიზ ორჯონიკიძე მოგვითხრობს:

— სააკაშვილისაგან და მისი ნაცბანდისაგან დიდი ხანია, აღარაფერი მიკვირს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, **გავოგნდი, როდესაც გავიგე, ბუბა კიკაბიძე სიის პირველ ნომრად ჩაწერესო!**

— რა არის აქ გასაკვირი, კიკაბიძე სააკაშვილის ძველი თავგადაკლული ფანია!

— ფანობა ერთია, აქ მთავარი სხვა რამეა: ბუბა კიკაბიძე პუტჩისტი მკვლელია!

— იმას გულისხმობთ, საქართველოში პუტჩის შემდეგ ჩამოსულმა შევარდნაძემ აეროპორტშივე რომ შეაქო ინტელიგენცია — ყოჩაღ, დემოკრატიის დასაცავად ხელში ავტომატები რომ აიღეთო?

— არა მხოლოდ ამას! **ბუბა კიკაბიძემ უბრალოდ კი არ აიღო ხელში იარაღი, ის ქართველებს ესროდა!** ალბათ, მთელმა საქართველომ

მაინც იცის 1992 წლის 3 იანვარს დიდუბის მეტროსთან გამართული ზვიად გამსახურდიას მომხრეების მიტინგის დახვრეტის ამბავი! იქ ბუბა კიკაბიძე ხვრეტდა ქართველ პატრიოტებს!

— თქვენ შეესწარით ამას?! უფლებას ვიტოვებთ, სერიოზული ეჭვი გამოვთქვათ.

— მე იმ ავბედით 3 იანვარს ვერ დავესწარი მიტინგს, მაგრამ იქ ცხონებული დედაჩემი იყო, **ქალი ცოცხალ-მკვდარი მოვიდა სახლში, ავტომატები დაგვიშინეს მკვლელებმაო და, როდესაც ხალხი შიშველი ხელებით შეებრძოლა თავდამსხმელებს, ერთ-ერთ ავტომატიან მკვლელს ნიღაბი რომ ჩამოჰგლიჯეს, ბუბა კიკაბიძე შერჩათ ხელშიო!**

გაგიჟებული იყო საწყალი ქალი! ჰოდა, აი, ეს სისხლიანი მკვლელი ჩაუყენა სააკაშვილმა საარჩევნო სიას!

— სიის მეექვსე ნომრად სისხლიანი პუტჩისტი დევი ჭანკოტაძეა!

— ამით სააკაშვილმა ზვიად გამსახურდია ხელახლა მოკლა! **ამ ნაცსიაში ბარემ ქართველთა ამომგდები კიტოვანი, გენერალი როდიონოვი და შაჰ-აბასიც ჩაეწერათ!** მოკლედ, სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას სახელი აღარ ახსენოს და მიმიფურთხებია იმ ზვიად გამსახურდიას მომხრისათვის, ვინც ამის შემდეგ ბუბა კიკაბიძის სანაცეთს მისცემს ხმას!

ისე კი, ბუბა კიკაბიძევ, შენ არ იყავი, აფხაზეთში ქართველთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის შემდეგ რომ გაიფურჩქნე მოსკოვის სარესტორნო ბიზნესში და ყელმოღერებული უმღეროდი „დიად რუსეთს“?!

„თვითმფრინავის ბიჭების“ საქმეზე სიკვდილმისჯილების შეწყალების თხოვნაზე მთელმა მაშინდელმა ინტელიგენციამ მოაწერა ხელი და ერთ-ერთი ბუბა კიკაბიძე იყო, ვინც თავისი ხელმოწერა უკან წაიღო — **გეგა კობახიძის დედას ნათელა მაჭავარიანს თავად აქვს ეს ხმამაღლა ნათქვამი!**

ესაუბრა

გიორგი გიგაური

„დევი ჭანკოტაძის საარჩევნო სიაში შეყვანით სააკაშვილმა ზვიად გამსახურდია ხელახლა მოკლა!“

კვირგვინოსნები

ანზორ აბრალავა
ანალიტიკოსი



დევი ჭანკოტაძე ტყუილად არ შეუყვანიათ სიის ხუთეულში. მას მაჟორიტარად კენჭისყრაზე დროს არ აკარგვინებენ. რევოლუციურ გეგმებს სჭირდება ჭანკოტაძის გამოცდილება.

„ახალი თაობა“

პეტრე მამრაძე
ყოფილი პარლამენტარი

მომივიდა ინფორმაცია, რომ ბოკერიას პარტიას ადგილებზე მოუვიდა ზეპირი დირექტივა — **თუ „ოცნებას“ გაუჭირდება არჩევნების დროს, ყველა ჩვენი ხმა „ოცნებაში“ უნდა წავიდესო.**

„ახალი თაობა“

მამუკა ტუსკაძე
პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი

ხელისუფლებას მოვუწოდებ, ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის თანაბარი პირობები შექმნას, რომ მივიღოთ საარჩევნო მარათონი და არა საარჩევნო მუშტი-კრივი.

„ინტერპრესნიუსი“